ზოგადი რჩევები პოტენციური შრომითი მიგრანტებისთვის

- √ დასაქმება კანონიერია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გაქვთ მუშაობის ნებართვა ან/და სამუშაო ვიზა, რომელსაც გასცემს მოცემული ქვეყნის საელჩოს საკონსულო განყოფილება.
- √ გადაწყვეტილების მიღებამდე, მიიღეთ დეტალური ინფორმაცია შესასრულებელი სამუშაოს, ადგილმდებარეობის, სამუშაო საათების, დასვენების დროის, ანაზღაურების, ხელფასის დაბეგვრის, დაზღვევის, საცხოვრებლის ღირებულების შესახებ;
- √ სოციალური ქსელებით გავრცელებული ინფორმაცია ყოველთვის ზუსტი და სანდო არ არის. შეეცადეთ მოიპოვეთ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია იმ ორგანიზაციის შესახებ, რომელიც გთავაზობს დასაქმებაში დახმარებას.
- √ გამგზავრებამდე მოიპოვეთ ინფორმაცია იმ ორგანიზაციების შესახებ, რომლებსაც შეიძლება დაუკავშირდეთ უცხოეთში ყოფნისას, საჭიროების შემთხვევაში.

საქართველოს საელჩო ბულგარეთში

65, Krichim str.,Lozenets, 1164 სოფია, ბულგარეთი
ტელ: +359 (2) 868-54-04
ვებგვერდი: www.bulgaria.mfa.gov.ge
სამუშაო საათები: 09.00-18.00
საკონსულო განყოფილება:
ელ. ფოსტა: bulgaria.emb@mfa.gov.ge

ცხელი ხაზი (საგანგებო შემთხვევებისთვის):
+359 892 410 226

პროექტი „ცნობიერების ამაღლება ბულგარეთში შრომითი მიგრაციის შესახებ“

კონტრაქტი N 812108-4/28.01.2021, პროექტი დაფინანსებულია, ევროკავშირის მიერ თანადაფინანსებული „თავშესაფრის, მიგრაციისა და ინტეგრაციის “ფონდის 2014-2020 წლების ბულგარეთის ეროვნული პროგრამის ფარგლებში

პროექტი ხორციელდება IOM ბულგარეთის მიერ, IOM საქართველოს, IOM სომხეთისა და IOM მოლდოვას საოპერაციო მხარდაჭერითა და კოორდინაციით

პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს ბულგარეთში უსაფრთხო და უკეთესად მართულ შრომით მობილობას, საქართველოდან, სომხეთიდან და მოლდოვადან და ითვალისწინებს საინფორმაციო სესიების გამართვას, ბულგარეთის შრომის ბაზრისა და ცხოვრების პირობების შესახებ სანდო და განახლებულ ინფორმაციას მისაწოდებლად.

IOM საქართველო
თენგიზ აბულაძის ქ. 12, 1-ლი ჩიხი, 0162
თბილისი, საქართველო
+995 32 2 25 22 16
iomtbilisi@iom.int /georgia.iom.int/

სასარგებლო ინფორმაცია ბულგარეთში დასაქმების შესახებ

დოკუმენტი შექმნილია თავშესაფრის, მიგრაციისა და ინტეგრაციის ფონდის ფინანსური მხარდაჭერითა და ევროკავშირის თანადაფინანსებით. დოკუმენტის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია და არ ასახავს ევროკავშირისა და პასუხისმგებელი ორგანოს ოფიციალურ პოზიციას

დასაქმება ბულგარეთში

ბულგარეთში უცხოელთა დასაქმების შესახებ კანონმდებლობა ითვალისწინებს სხვადასხვა შესაძლებლობას. დასაქმების/ ნებართვის ტიპი დამოკიდებულია ინდივიდუალურ გარემოებებზე.
შეთანხმება საქართველოსა და ბულგარეთის რესპუბლიკას შორის შრომითი მიგრაციის რეგულირების შესახებ ვრცელდება შემდეგ კატეგორიის მუშაკებზე:

1) მუშაკები, თავდაპირველი ერთწლიანი ვადით, ბინადრობის ნებართვის შემდგომი გაგრძელების შესაძლებლობით, ჯამურად სამ წლამდე ვადით;
2) სეზონური მუშაკები, წელიწადში არაუმეტეს ცხრა თვის ვადით.

აღნიშნული კატეგორიის მუშაკებს მუშაობის ნებართვა არ მოეთხოვებათ. ისინი მიიღებენ შესაბამისი ტიპის ბინადრობის ნებართვას, ბულგარეთის კანონმდებლობის გათვალსიწინებით.
მუშაკებს ექნებათ ისეთივე უფლებები და ვალდებულებები, როგორიც ადგილობრივ მუშაკებს და სამუშაო ადგილზე ისარგებლებენ თანაბარი დაცვით.

რა უნდა იცოდეთ თქვენი უფლებების შესახებ?

- ბულგარეთის შრომის კანონმდებლობის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით.
- **ნორმირებული სამუშაო დროის** ხანგრძლივობა შეადგენს კვირაში 5 სამუშაო დღეს და 40 საათს. დაშვებულია სამუშაო დროის გახანგრძლივება კვირაში 48 საათამდე (არ უნდა აღემატებოდეს წელიწადში 60 სამუშაო დღეს).
- როგორც წესი, დასაქმებულს აქვს **სულ მცირე 30 წუთიანი შესვენების უფლება.**
- ღამით/ ცვლებში მუშაობა სპეციალური წესებით რეგულირდება.
- **ზეგანაკვეთური სამუშაო** დასაშვებია განსაზღვრული დროითა და პირობებით. ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება გაზრდილი განაკვეთით - სტანდარტული ხელფასის 150% სამუშაო დღეებში, 175% შაბათ-კვირას, ხოლო - 200% დღესასწაულებზე მუშაობისთვის.
- ოთხთვიანი დასაქმების შემდეგ, დასაქმებულს უფლება აქვს ისარგებლოს **ანაზღაურებადი შვებულებით** - წელიწადში სულ მცირე 20 სამუშაო დღე.
- დასაქმებულს უფლება აქვთ მიიღოს ანაზღაურებადი **დეკრეტული შვებულება** 410 დღის ოდენობით(45 დღე შეიძლება გამოყენებულ იქნას მშობიარობამდე). ამ შემთხვევაში, ანაზღაურება შეადგენს სტანდარტული ხელფასის 90%-ს. მამას შეუძლია ისარგებლოს 15 დღიანი ანაზღაურებადი შვებულებით.
- 2022 წლისთვის ბულგარეთში **მინიმალური ხელფასი** შეადგენს 710 ბულგარული ლევს (≈363 EUR) საათში. ანაზღაურების ზუსტი ოდენობა დამოკიდებული იქნება დასაქმების სფეროზე, თანამდებობაზე და დამსაქმებელთან შეთანხმებაზე.
- უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ეკისრებათ **საშემოსავლო გადასახადი** ბულგარეთში მიღებულ შემოსავლებზე. დასაქმებიდან მიღებული შემოსავალი იბეგრება ფიქსირებული -10%-იანი განაკვეთით.
- **სოციალური დაცვის გადასახადი** არის ხელფასის 24.7% - 25.4%, საიდანაც 10.58%-ს იხდის დასაქმებული.
- ევროკავშირის არაწევრი ქვეყნის მოქალაქეები დაზღვეულები არიან ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო ფონდში, თუ მათ აქვთ ხანგრძლივი ან მუდმივი ბინადრიბის ნებართვა ბულგარეთში.

საჭიროა თუ არა ადგილობრივ ორგანოებში რეგისტრაცია?

ბულგარეთში ჩასვლიდან ხუთი დღის მანძილზე, თქვენ უნდა აცნობოთ თქვენი მისამართი კომპეტენტურ ორგანოს, კერძოდ, ადგილობრივი პოლიციის განყოფილების იმიგრაციის სამსახურს.
მისამართის ცვლილება ასევე უნდა ეცნობოს ადგილობრივ პოლიციას ხუთ დღის განმავლობაში.

ვის მივმართო ბულგარეთში, თუ ჩემი უფლებები დაირღვა?

- შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტი
  ვებგვერდი: www.mvr.bg/migration
  ელ. ფოსტა: migration@mvr.bg
  ტელ.: + 359 29824808, +359 29827251, +359 29823764, +359 29822968
- ბულგარეთის დასაქმების სააგენტო
  ვებგვერდი: www.az.government.bg
  ელ.ფოსტა: az@az.government.bg
  ტელ.: + 359 29808719
- შრომის ინსპექცია
  ვებგვერდი: www.gli.government.bg/bg
  ტელ.: +359 70017670